ხელშეკრულება №04/25

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

22 ივნისი 2022 წელი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესორი როინ თათეშვილი, შემდგომში „შემსყიდველი“, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ი/მ „გაიანე ნახაპეტიან“ ს.კ. 47001013845, შემდგომში „მიმწოდებელი“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის 1999 წლის 3 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე დაფინანსებული საერთაშორისო პროექტის „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებების ცენტრის ცოდნის ცენტრად დაფუძნება ინკლუზიური და ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული ცოდნის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის დასანერგად” ფარგლებში ქსოვილის (მაგიდის გადასაფარებლად) შესყიდვა.

Cpv კოდი: 192511000

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ობიექტია: ქსოვილი (მაგიდის გადასაფარებლად)

ქსოვილი – 15 მ X 15,00 ლ = 225,00 ლარი

2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 225,00 (ორასოცდახუთი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №27.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, 2022 წლის 22-24 ივნისი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიწოდება ფორმდება სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის.

5. ანგარიშსწორების ფორმა

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მოწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” სრული დაცვით.

6.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

ბ. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

გ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა. საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ფორსმაჟორული სიტუაციების დადგომისთანავე;

ბ. აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს შემსყიდველისაგან შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ. დააყენოს შემსყიდველის პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.5 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

ა. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

ბ. წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

გ. საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომისთანავე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, შემსყიდველია აფრთხილებს წერილობით, რათა მან უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა. ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყოდველს უფლება აქვს მიმწოდებელთან წერილობითი შეთანხმების გარეშე სათანადო რეაგირებისათვის მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას.

7.2 თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა.

7.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არა არიან პასუხისმგებელნი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეული იქნება დაუძლეველ (ფორს-მაჟორულ) გარემოებათა გამო, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ომები და სხვა.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული სიტუაცია, ვალდებულია აღნიშნულის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1 ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი გადასინჯვას არ ექვემდებარება.

9.2 ხელშეკრულებების პიროებების შეცვლა დასაშვებია ურთიერთშეთანხმების შემდეგ, თუ ამით არ ილახება ერთ ერთი მხარის ინტერესები.

10. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების კონტროლის პირობები

10.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ ეტაპზე;

10.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესორი როინ თათეშვილი;

10.3 მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირია ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნანი გოგოლაძე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეებს შორის წამოჭრილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში კანონოთ გათვალისწინებული წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2022 წლის 22 ივნისიდან 2022 წლის 24 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

14. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ი/მ „გაიანე ნახაპეტიან“
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №27
ს.კ. 424066977	ს.კ. 47001013845
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს „საქართველოს ბანკი
ბ.კ. TRESGE22	ბ/კ BAGAGE22
სახაზინო კოდი: 32 04 05 09	ა/ა №GE89BG0000000114957400
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი: როინ თათეშვილი	ი.მ: გაიანე ნახაპეტიან
---	---